ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3504571

ნომერი: AR1535537

თარიღი : 25.08.2017

გაცემის თარიღი : 09.09.2017

გაცნობის თარიღი : 09.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ქუჩა უშბა , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , უშბის ქუჩის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , I კვ-სა და II კვ-ს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ნოზაძე პ/ნ 01012000877
- ქ. ტბილისი. ვაზისუბანი. 3 მ/რ, 2 კვ. 3 კორპ. ბინა66.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა

დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 25 აგვისტოს #AR1535537 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, III მიკრო/რაიონში, უშბის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.07.011.056, N01.17.07.011.073) მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.
პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), რომელიც წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გეგმარებით კარკასზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5 * / 0,7
კოეფიციენტი
კ-2
3,5
კოეფიციენტი
კ-3
0,2
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
600 / 700 *
კვ.მ
მინიმალური სიგანე
15 / 20 *
მეტრი
მინიმალური სიღრმე
25 / 30 *
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

გაცნობებთ, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.07.011.056) ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 6 თებერვლის სხდომის #5 ოქმისა და ქ. თბილისის მერის განკარგულების საფუძველზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ1- განისაზღვრა 0.8-ით. აღნიშნულის საფუძველზე

შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხზე დაზუსტებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული ნებართვების საფუძველზე არის თუ არა ნაწარმოები მშენებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია მშენებლობა , შენობა/ნაგებობა მიღებულია თუ არა ექსპლუატაციაში (ექპლუატაციაში მიღების ბრძანება ასახული უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში); ხოლო იმ შემთხვევაში თუ შენობა–ნაგებობა ექსპლუატაციაში არ არის მიღებული ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების განმცხადებლის თანხმობის საფუძველზე უნდა მოითხოვოთ ცვლილება უკვე გაცემულ ქალაქთმშენებლობით პირობებში საკდასტრო ერთეულის დამატების კუთხით (მოთხოვნის ტექსტში დეტალურად უნდა აღწეროთ ცვლილების შინაარსი). ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში დაფიქსირებულია ძველი საკადასტრო კოდი, ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების საკითხს შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შენობა–ნაგებობა მიღებულია ექსპლუატაციაში სამსახური საკითხს განიხილავს ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 25 აგვისტოს #AR1535537 განცხადება დარჩება განუხილველი.

–

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.